ლადო პაპავა ოპოზიციას პარლამენტში დაბრუნებას ურჩევს

„საქართველოს ეკონომიკას კატასტროფა არ ემუქრება თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანა იღებს სერიოზულ ფინანსურ დახმარებას“

გაზეთი “მთელი კვირა” – 28 სექტემბერი, № 261, 2009

იმაზე, თუ საქართველოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგია და თუ მას აქვს ეროვნული ფესვებიც; ასევე იმაზე, თუ რა მდგომარეობაა დღეს ქვეყანაში პოლიტ-ეკონომიკური კუთხით, „მთელი კვირა“ ექსპერტს ლადო პაპავას ესაუბრა.

„მთელი კვირა“: როგორ შეაფასებდით ქვეყანაში არსებულ სიტუაციას?

ლადო პაპავა: ის, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისია, ეს უკვე აღარავიში ეჭვს არ იწვევს. მასა გარკვეულწილად თვით ხელისუფლებაც აღიარებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2009 წელი დასრულდება 4%-იანი ეკონომიკური ვარდნით. ივლისის თვეში პარლამენტმა ბიუჯეტში შეიტანა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც საგადასახადო შემოსავლები შემცირდა ნახევარი მილიარდი ლარით. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკას კატასტროფა არ ემუქრება თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანა იღებს სერიოზულ ფინანსურ დახმარებას დონორი ქვეყნებისა და დონორი ორგანიზაციებისაგან, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი.

„მ.კ“: საქართველოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის გამოხატულებაა, თუ მას აქვს საკუთარი ფესვებიც?

ლ.პ: რა თქმა უნდა გლობალურ ფინანსურ კრიზისს აქვს თავისი უარყოფითი ზეგავლენა, რაც უწინარეს ყოვლისა აისახება ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებაზე. რაც შეეხება კრიზისის ეროვნულ ფესვებს, ისინი განპირობებულია მცდარი ეკონომიკური პოლიტიკით, რომლის შედეგადაც სამშენებლო სექტორი გაივსო „ფინანსური პირამიდებით", ხოლო საბანკო სექტორი ძირითადად აკრედიტებდა, როგორც ამ „ფინანსურ პირამიდებს", ისე სამომხმარებლო საქონლის იმპორტს. ასეთი პოლიტიკა აუცილებლად მიიყვანდა ქვეყანას ეკონომიკურ კრიზისამდე.

„მ.კ": როგორ შეაფასებდით მთავრობის ანტიკრიზისულ პროგრამას?

ლ.პ: მთავრობას პროგრამა როგორც ასეთი, არა მარტო ანტიკრიზისული, არამედ არც არანაირი არ გააჩნია, ხოლო ის ცალკეული წინადადებები, რომელიც მთავრობამ საზოგადოებასწარუდგინა, როგორც ანტიკრიზისული ღონისძიებები, ძალზედფრაგმენტულია. მე განსაკუთრებით ვშიშობ, რომ თბილისის ძველი უბნების განახლების საბურველ ქვეშ, შესაძლოა ხელი შეეწყოს იმ საამშენებლო კომპანიებსაც, რომლებიც „ფინანსური პირამიდის" პრინციპით მუშაობენ.
იმედის მომცემი არის მხოლოდ ის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველო იღებს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას.

„მ.კ." მოდით ეკონომიკიდან პოლიტიკაზე გადავიდეთ, ორიოდე სიტყვით როგორ შეაფასებდით შექმნილ ვითარებას?

ლ.პ: ოპოზიციური მუხტი ერთობ მინელებულია, ხოლო ხელისუფლება - „გაჯეჯილებული". ამას ადასტურებს გვირგვლიანის მკვლელების ციხიდან გამოშვება, თავდაცვის მინისტრის პოსტზე კურიოზული დანიშვნა, „იმედის" საბჭოთა კავშირის დროინდელ ცენტრალურ ტელევიზიად ქცევა და ა.შ.

„მ.კ": რაში ხედავთ გამოსავალს?

ლ.პ: უებარი წამლის რეცეპტს ნამდვილად ვერავის შევთავაზებ, მაგრამ ვისურვებდი, რომ ოპოზიციამ შეცვალოს ბრძოლის ტაქტიკა. მაგალითად, მე დადებითად შევაფასებდი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიერ პარლამენტში დაბრუნებას და საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენებას. აქ საუბარია არა მარტო საპარალმენტო არჩევნების დროს შექმნილი „გარეთანებული ოპოზიციის" ლიდერებზე, არამედ ლეიბორისტებზეც, რომლებიც დეპუტატები არიან, მაგრამ

საპარალმენტო ცხოვრებაში უშუალოდ არ მონაწილეობენ. ყველა მათი შესვლით პარლამენტში გაჩნდებოდა რეალური ოპოზიცია, რომელიც პარლამენტის ტრიბუნას გამოიყენებდა ხელისუფლების კრიტიკისათვის. თანაც, უცხო ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებიც უფრო მეტი გულისყურით იქნებოდნენ მათთან ურთიერთობაში.

„მ.კ“: როგორ აფასებთ ალასანია-სუბარის ტანდემს მომავალ ადგილობრივ არჩევნებში?

ლ.პ: ამ ეტაპზე ეს აბსოლუტურად სწორ გადაწყვეტილებად ჩანს და მე მას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები, რადგანაც პოლიტიკური ბრძოლის ყველა ფორმა უნდა იქნას გამოყენებული ოპოზიციის მიერ, რათა მიღწეული იქნას ხალხისათვის საჭირო შედეგი - საზოგადოებისდემოკრატიულობის ზრდა.

„მ.კ“ როგორ შეაფასებდით ახალგაზრდების როლს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი ხომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ძირითად მამოძრავებელ ძალად გვევლინებიან?

ლ.პ: ორიოდე წლის წინ ამერკიაში კონფერენციაზე ყოფნისას, შესვენების დროს, ერთ-ერთი ამერიკელი პროფესორი დაინტერესდა საქართველოში არსებული ვითარებით. როდესაც მე მას არსებული ვითარება დავუხასიათე, მან დამისვა ჩამჭრელი კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი არის სტუდენტების რეაქციაო. სამწუხაროდ,ორიოდე წლის წინ ჩვენი სტუდენტობა, უკეთეს შემთხვევაში, საკმაოდ ინერტული იყო. 2009 წლის აპრილიდან მოყოლებულ საპროტესტო აქციებში აშკარად გამოიკვეთა ახალგაზდების როლი. ეს კი იმედის მომცემია. თუ ჩვენს ახალგაზრდობას აღელვებს საქართველოს ხვალინდელი დღე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე დღევანდელზე ბევრად უკეთესი იქნება.

ია აბულაშვილი